გამარჯობა, ძვირფასო ევროპელო მეგობარო!

როგორ ხარ? მე გწერ საქართველოდან. საქართველო - ეს ის ქვეყანაა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში, უმძიმესი დაბრკოლებების, ღალატის, ომის, ოკუპაციისა და სირთულეებისდა მიუხედავად, ბრძოლობდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის. მე, როგორც დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებული ადამიანი, ვხვდები, თუ რამდენად რთული იყო აქამდე მოსვლა და მინდა, გიამბო იმ რთული და ხანგრძლივი გზის შესახებ, რომელიც საქართველომ დამოუკიდებლობის მისაღწევად გაიარა.

ჯერ კიდევ 1783 წლის 24 ივლისს, ერეკლე მეორემ და ეკატერინე დიდმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობისა და პროტექტორატის ტრაქტატს, რომელსაც „გეორგიევსკის ტრაქტატი“ ერქვა. ტრაქტატის თანახმად, ქართველი მეფეები ცნობდნენ რუსეთის ძალაუფლებას, თუმცა რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო საქართველოს შინაურ საქმეებში. მაგრამ, რუსეთმა ხელშეკრულების პირობები დაარღვია.

1800 წელს, რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა, რუსეთის იმპერიასთან ქართლ-კახეთის შეერთების მანიფესტი გამოსცა, რაც საქართველოს სამეფოს გაუქმებას და დაკარგვას ნიშნავდა.
რუსეთის იმპერია ნელ-ნელა ანადგურებდა ქართულ წეს-ჩვეულებებს, კულტურას და სარწმუნოებას: ძარცვავდნენ ეკლესია-მონასტრებს; ანგრევდნენ ძეგლებს; გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია; ქართული წირვა-ლოცვა რუსულით შეცვალეს; დამკვიდრდა რუსული ენა სკოლებში, უნივერსიტეტებში, სასწავლებლებლებში, საავადმყოფოებში, სასამართლოებში. ქართული ადათ წესები, ქართული ენა და სარწმუნეობა ისე გაქრა, თითქოს ქარმა წაიღო, თითქოს არც არასდროს არსებობდა.
საქართველოში იყო ხალხი, რომელიც ცდილობდა ქვეყნისთვის ღირსება დაებრუნებია: XIX საუკუნის 60-იანწლებში გამოჩნდა თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის მოტივი იყო „ჩვენი თავი ჩვენადვეგვეყუდნესო“ და " ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა ის თავის წარსულს ივიწყებს", ამიტომაც თერგდალეულები ცდილობდნენ საქართველოს სულის აღდგენას და გაღვიძებას. შექმნეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გამოუშვეს ქართული ჟურნალ-გაზეთები და 1905 წლიდან, უკვე ბრძოლა დაიწყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

1917 წელს რუსეთის იმპერია დაიშალა. ამავე პერიოდში შექმნილმა ეროვნულმა საბჭომ ამ მოვლენით ისარგებლა და 1918 წლის 26 მაისს, თბილისში გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა და შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

1919 წლის მარტის თვეს ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები. დამფუძნებელმა კრებამ შეცვალა ეროვნული საბჭო და დაამტკიცა საქართველოს

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის სამართლებრივი ძალმოსილება.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევრპის წამყვანმა ქვეყნებმა ცნეს, იარსება 1921 წლის 25 თებერვლამდე, რუსეთის მიერ განხორციელებულ ოკუპაციამდე.

1989 წლის 9 აპრილს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე შეკრებილი მშვიდობიანი სტუდენტები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ, საბჭოთა ჯარმა სასტიკად დაარბია. ამის შემდეგ დამოუკიდებლობის მოთხოვნის იდეა კიდევ უფრო გაძლიერდა.

1991 წლის 31 მარტს ჩატარდა სახალხო რეფერენდუმი, სადაც მოსახლეობის 90%-ზე მეტმა მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობის აღდგენას, 1918 წლის აქტის საფუძველზე.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ ოფიციალურად გამოაცხადა დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ეს იყო უდიდესი სიხარულისა და იმედის განცდა ქართველი ხალხისთვის. საქართველო საბოლოოდ, ბევრი წვალების შემდეგ, რუსეთის კლანჭებიდან განთავისუფლდა. თუმცა, დამოუკიდებლობა ავტომატურად თავისუფლებას არ ნიშნავს. თავისუფლების მოპოვება საქართველოსთვის ბევრად უფრო რთული პროცესი იყო.

ქვეყანა პოლიტიკური არასტაბილურობის, ეკონომიკური კრიზისისა და შიდა დაპირისპირებების ეპიცენტრში აღმოჩნდა: 1991 წლის მაისში ქართველმა ხალხმა პირველ ლეგიტიმურ პრეზიდენტად აირჩია ზვიად გამსახურდია. გამსახურდია ცდილობდა ცენტრალური მმართველობის გაძლიერებას, რის შედეგადაც გაჩნდა ოპოზიცია. განსაკუთრებით მწვავე იყო ურთიერთობა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებთან - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან.

დამოუკიდებლობის მოპოვებამ საზოგადოებას მისცა იმედი, მაგრამ რეალობამ გვაჩვენა, რომ თავისუფლება პასუხისმგებლობას გულისხმობს.

ჩემთვის, თავისუფლება მხოლოდ არჩევნის ქონას და აზრის გამოთქმის უფლებას არ ნიშნავს. თავისუფალი მაშინ ხარ, როცა საკუთარ თავზე ზრუნვა შეგიძლია, როცა შენი ღირსებისთვის ბრძოლა შეგიძლია. თავისუფლებისთვის უნდა იბრძოლო, იშრომო, ტკივილიც უნდა გადაიტანო. საქართველომ ბევრი ტანჯვა-წამების და სისხლის დაღვრის შემდეგ, მიაღწია იმ მიზანს, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ისახავდა - დამოუკიდებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ჯერ არ ვართ ევროკავშირის ნაწილი, საქართველო ევროპული ღირებულებებისკენ მიისწრაფის და ბევრი რამ უკვე მიღწეულია, მაგალითად: 1999 წლიდან 2004 წლამდე ევროკავშირმა საქართველოს

ფინანსური და ჰუმანიტარული დახმარება გაუწია; 2000-იან წლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები საჯარო სამსახურში, განათლებაში; 2008 წელს, საქართველოსა და რუსეთს შორის ომში, ევროკავშირმა დიდი როლი ითამაშა. ევროკავშირის იმდროინდელმა თავმჯდომარემ, საფრანგეთის პრეზიდენტმა, ნიკოლა სარკოზმა, მოლაპარაკებების გზით მიაღწია ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიან შეთანხმებას, რომელსაც ხელი მოაწერა ორივე მხარემ. რუსეთმა არ დაიცვა შეთანხმების მე-5 პუნქტი, რომელიც რუსეთის სამხედრო ძალების საომარი მოქმედებების დაწყებამდე დადგენილ ხაზებზე დაბრუნებას მოითხოვდა. რუსეთმა 26 აგვისტოს აღიარა აფხაზეთისა და “სამხრეთ ოსეთის” დამოუკიდებლობა, რითაც დაარღვია საქართველოს სუვერენიტეტი. ევროკავშირმა არ ცნო ამ რეგიონების დამოუკიდებლობა და დღემდე მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ჩემი სამშობლო თავგანწირვით, დაუღლელად იბრძოდა დამოუკიდობლებისთვის და ჯერ კიდევ თავისუფლების მიღწევის გზაზე დგას. მე მჯერა, რომ ჩვენ, ქართველი ერ, ერთად მივაღწევთ ამ მიზანს.

ქალაქ ფოთის N2 საჯარო სკოლის, VIIIბ კლასის მოსწავლე
ნინი ბაძაღუა